

ეთერ ღვინერია¹

პარადიგმის ცვლილება, სწავლების პარადიგმიდან სწავლის პარადიგმისკენ²

აბსტრაქტი

სწავლების მიზანი სწავლის ხელშეწყობაა, ინოვაციური მეთოდების გამოყენება, ინოვაციებისკენ სწრაფვა სწავლის შდეგების გაუმჯობესებას ემსახურება. სტატიაში განხილული მეთოდები და სტრატეგიების გამოყენება, სწავლის პროცესის ეფექტურად წარმართვაში დაგვეხმარება. სტატია ეფუძნება თსუ ევროპისმცოდნეობის ინტერდისციპლინური სადოქტორო პროგრამის მკვლევარებისთვის განკუთვნილი სასწავლო კურსის სილაბუსის მიმოხილვას.

საკვანძო სიტყვები: სწავლების პარადიგმა; სწავლის პარადიგმა; სწავლების თანამედროვე მეთოდები; ინოვაციური სტრატეგიები; აზროვნების, სწავლისა და გაგების ურთიერთკავშირი.

შესავალი

„თუ დღეს ჩვენ სტუდენტებს ვასწავლით ისე,
როგორც ჩვენ გვასწავლეს გუშინ,
ჩვენ ვართმევთ მათ ხვალინდელ დღეს“

- ჯონ დიუი

XXI საუკუნის განათლების ერთ-ერთ მახასიათებელს სასწავლო პროცესის ახლებური გააზრება წარმოადგენს, რომელიც ე.წ. „სწავლების მოდელიდან“ „სწავლის მოდელზე“ გადანაცვლებაში (აქცენტის გადატანაში) ჰპოვებს ასახვას.

სწავლების მოდელი ძირითადად ინფორმაციის /ცოდნის გადაცემას ეფუძნება, მაგრამ იმავდროულად ზღუდავს ინტერაქციის შესაძლებლობას.

სწავლის მოდელის ამოსავალ წერტილს ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა წარმოადგენს, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების მიერ საკუთარი ცოდნის შენებასა და შესაბამისი დასკვნების გაკეთებას. ასეთი მიდგომა აყალიბებს შემსწავლელთა ერთობას, როდესაც სწავლის პროცესში, მსჯელობენ, წყვეტენ პრობლემებს და აკეთებენ „აღმოჩენებს“.

სწავლა/სწავლების პარადიგმის ცვლილება იწვევს შეხედულებების ცვლილებას სასწავლო პროცესზე: ლექცია სწავლების ერთ-ერთ და არა ერთად-ერთ მეთოდად მოიაზრება; სტუდენტებს ეკისრებათ ვალდებულება, საკუთარი წვლილი შეიტანონ სწავლება/სწავლის პროცესში; სასწავლო პროცესი თანამშრომლობით ხასიათს იღებს და ამას სასურველი სასწავლო შედეგები მოყვება; ხდება ცოდნის კონცეპტუალიზაცია; იცვლება სტუდენტებისა და პროფესორის როლი და მათი ურთიერთობები; იცვლება სწავლის პროცესი და სასწავლო გარემო, შესაბამისად, ახლებურად ყალიბდება უმაღლესი განათლების მიზანიც. სასწავლო პროცესის მატერიალური განათლების პრინციპებზე დაფუძნებისაგან განსხვავებით, აქცენტი კეთდება ფორმალურ განათლებაზე.

¹ ეთერ ღვინერია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დოქტორი, ელექტრონული ფოსტა: eteri.gvineria@tsu.ge

² სტატია შექმნილია -“სწავლების თანამედროვე სტრატეგიებისა და მეთოდების“ სილაბუსზე დაყრდნობით თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის ევროპისმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის ფარგლებში

სწავლის პარადიგმის მიზანია-სწავლა უკეთესად გაგებისთვის, ცნებების, პრინციპების ან უნარ-ჩვევების დაუფლება, მათი სხვადასხვა სიტუაციაში გამოყენების უნარი.

ასეთი მიდგომის შედეგად ცოდნის შენების პროცესი ორიენტირებული იქნება არა ინფორმაციის მოკვლევადან დამახსოვრებაზე, არამედ მის ღრმა გააზრებაზე. შედეგი-საფუძვლიანი ცოდნა კონტექსტით შემოფარგლული მოკლევადიანი ინფორმაციის საპირისპიროდ. სწავლის სტრატეგია უნდა იყოს ყურადღების გამახვილება არა სასწავლო საგნის შინაარსზე, არამედ სტუდენტის მიერ შესწავლილი მასალის ღრმა გააზრებაზე, მის კავშირზე სტუდენტის გამოცდილებასთან და სხვა სასწავლო საგნებში მიღებულ ცოდნასთან. ასეთ შემთხვევაში, პროფესორის მთავარი ამოცანაა შემსწავლელის აზროვნების და მსჯელობის უნარების განვითარება, მიღებული ცოდნის მოქნილი და აქტიური გამოყენება. ცოდნა და უნარები თავისთავად არ განაპირობებს გაგებას. ადამიანმა შეიძლება დააგროვოს ცოდნა, განავითაროს უნარები მიღებული ინფორმაციის ღრმა გააზრების გარეშე; გაგება მხოლოდ “შინაარსის გაგებას” არ გულისხმობს, გაგებაში „**მოქმედების პერსპექტივა**“ იგულისხმება.

ახალი წარმოდგენები/მოდელები ძველი მოდელების ტრანსფორმირების გზით ჩნდება; მნიშვნელოვანია მოახერხებს თუ არა ადამიანი ახალ სიტუაციაში კონკრეტული ცოდნის გასხენებასა და გამოყენებას (Perkins 2014).

სწავლის პარადიგმის მიხედვით სტუდენტებს ბუნებრივად ახასიათებთ ცნობისმოყვარეობა და სიძნელეების დაძლევის, დაბრკოლებების გადალახვის სურვილი. ისინი არა მხოლოდ იძენენ ახალ ცოდნას, არამედ ახდენენ უკვე შეძენილი ცოდნის, ხედვის, იდეების, მოსაზრებების გაზიარებას; თავადვე წარმართავენ სწავლა/სწავლების პროცესს. ამ კონტექსტში იცვლება სტუდენტთა და პროფესორის ფუნქციები.

სტუდენტებმა:

- უნდა **გამოამჟღავნონ** ცოდნის შეძენის /კვლევის ინტერესი;
- **დასვან კითხვები**, რომლებიც მოითხოვს გააზრებას და სტიმულს აძლევს აზროვნებას;
- **უნდა წარმოადგინონ საკითხის** საკუთარი ხედვა (შეხედულებები);
- **მოისმინონ და პატივი სცენ** განსხვავებულ შეხედულებებს;
- **გააანალიზონ** საკუთარი მცდარი ან არასწორი მოსაზრებები;
- **ითანამშრომლონ** სხვებთან, ერთობლივად “აშენონ” ცოდნა;
- **შეძლონ** შეძენილი ცოდნის სხვადასხვა კონტექსტში გამოყენება;

გაცნობიერონ, რომ კონკრეტული დისციპლინის ფარგლებში არსებული ცოდნა მდიდრდება კვლევასა და აღმოჩენებზე დაყრდნობით; უნდა ისარგებლონ ცოდნის მრავლობით წყაროებით და თანამედროვე საძიებელი სისტემებით.

ასეთი პროცესის მთავარი გზავნილია - სწავლა მიმართულია გაგებისაკენ და დამოკიდებულია აზროვნებაზე (Perkins 2014). საყურადღებოა აზროვნების, სწავლის, გაგების ურთიერთკავშირის გაცნობიერება.

პროფესორის ფუნქცია:

- **შექმნას** სათანადო გარემო და შეიმუშავოს სწავლების შესაბამისი მეთოდები; **გაითვალისწინოს** სტუდენტის მიერ ამ სფეროში უკვე ათვისებული ცოდნა და გამოცდილება;
- **ხელი შეუწყოს** “აღმოჩენებით სწავლას” და ცოდნის დამოუკიდებლად შენების პროცესს;
- **ხელი შეუწყოს** თითოეული სტუდენტის პოტენციალის /კომპეტენციის წარმოჩენასა და განვითარებას.

პარადიგმის ცვლილება ლოგიკურად იწვევს ტერმინოლოგიურ ცვლილებებს.

პროფესორის ფუნქციები შემდეგნაირად ყალიბდება: დაგეგმვა, შექმნა, მოდელირება, ხელის შეწყობა, გამოწვევა, გამოვლენა, უზრუნველყოფა, გაადვილება, ჩაღრმავება, მოძიება, განვითარება.

სტუდენტთა ფუნქციების ახლებური ტერმინოლოგია კი ასეთ სახეს იღებს : მონაწილეობა, აგება, გამოკვლევა, ჩართვა, თანამშრომლობა, განვითარება, შედარება, გარდაქმნა, პასუხისმგებლობის აღება.

განათლება XXI საუკუნეში

საჭიროა იმაზე დაფიქრება, თუ რა ცოდნა და უნარები დასჭირდებათ სტუდენტებს იმისთვის, რომ წარმატებული იყვნენ იმ ეპოქაში, სადაც 'ხელოვნურ ინტელექტს' უნდა გაუწიონ კონკურენცია, რამდენად ამზადებს ამისთვის მათ სახელმძღვანელოების დასწავლა/დაზეპირება და რა უნარები დაეხმარება მათ თავად შეძლონ იმ პროფესიების დაუფლება, რომლებიც ჯერ არ არსებობს.

21-ე საუკუნის უნარები



ახალი რეალობა ახალი გამოწვევების შემცველია და განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ისეთი უნარ-ჩვევები როგორცაა: კრიტიკული აზროვნება, კრეატიულობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქნილობა და სიახლეებთან ადაპტაცია, დროის მართვა, გუნდური მუშაობა. მაგალითისათვის განხილულია რამდენიმე მათგანი:

კრიტიკული აზროვნება გულისხმობს ინფორმაციის მოძიებას და ანალიზს; არგუმენტების ჩამოყალიბებას, პრობლემის გადაჭრას, სისტემურ აზროვნებას;

შემოქმედებითი/კრეატიული აზროვნება გულისხმობს: იდეების გენერირებას, გახსნილობას/ღიაობას, სიახლის აღმოჩენისკენ სწრაფვას, კრეატიულ თანამშრომლობას, შემოქმედებით მიდგომებს, ინოვაციების გამოყენებას.

კომუნიკაცია გულისხმობს: მოსმენის უნარს, ეფექტურ პრეზენტაციას, საუბარსა და დისკუსიაში ჩართვას, კომუნიკაციის ციფრული ტექნოლოგიებით გამოყენებას.

კოლაბორაცია გულისხმობს: ლიდერობას, ინიციატივას, კოოპერაციას, მორგებულობას. ადაპტაციის უნარს, პასუხისმგებლობას, პროდუქტიულობას, კოლაბორაციას ციფრული მედიის, შედეგიანობას, ეფექტურობას.

როგორ შეგვიძლია დასახული მიზნების რეალიზება:

1. სწავლა კეთების (გამოცდილებით) მეშვეობით

ამ თეორიის ცენტრალური იდეა უშვებს, რომ ადამიანებს შეუძლიათ სწავლა სათანადო სასწავლო პროცესში მონაწილეობის გზით, ანუ შესასწავლი მასალის დაუფლება შესაძლებელია კეთების პროცესში. არისტოტელეს სიტყვები კარგად ხსნის ამგვარ მიდგომას, რომლის თანახმად, იმის ნაცვლად, რომ ჯერ შევეცადოთ იმის სწავლას, რაც კონკრეტული დავალების შესასრულებლად გვჭირდება, ჩვენ ვსწავლობთ მას უშუალოდ დავალების შესრულების პროცესში ("For the things we have to learn before doing them, we learn by doing them"-Aristotle).

კეთებით სწავლება ინდუქციური ხასიათისაა, შემეცნებითი აპარატის გაგება ეფუძნება ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას. სტუდენტი განიხილება არა როგორც მხილოდ სწავლების ობიექტი, არამედ როგორც სასწავლო პროცესის აქტიური სუბიექტი; სწავლება წარმართება სტუდენტის შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინებით; პროფესურა სტუდენტთა გუნდის აქტიურია წევრია, ანაწილებს როლებს და ფუნქციებს, შეაქვს შესწორებები თუ ეს აუცილებელია პრაქტიკული ამოცანის შესრულების მომენტში;

სწავლა ადამიანის ბუნებაშია, ხოლო განათლების ძირითადი წყარო გამოცდილების უშუალო მიღებაა. ნებისმიერი დისციპლინა, სადაც ეს შესაძლებელია, ისწავლება დაკვირვებასა და ექსპერიმენტზე დაფუძნებით.

მხედველობაშია მისაღები მოსაზრება, რომლის თანახმად, ჩვენ ვფიქრობ მხოლოდ მაშინ, როცა ვართ პრობლემის წინაშე; ამდენად, უნდა მიეცეთ მოსწავლეებს საკეთებელი დავალება და არა - სასწავლო, შესაბამისად, დაევალოთ ისეთი რამის გაკეთება, რაც ფიქრს მოითხოვს, ხოლო ამის შედეგად ბუნებრივად მივიღებთ დასწავლას (John Dewey, 2017).

დავალების წინ და დამთავრების შემდეგ სტუდენტები მსჯელობენ ექსპერიმენტის მიზნებსა და შედეგებზე. ცოდნის შედეგი - რეალური პრობლემების აღქმა, მზაობა პრობლემების გადაჭრისათვის.

2. სწავლა კრიტიკული აზროვნების მეშვეობით

კრიტიკული აზროვნება - ეს არის ზრუნვა საკუთარ აზროვნებაზე. თუ ძალგვიძს ვიზრუნოთ საკუთარ აზროვნებაზე, საკუთარ ცხოვრებაზე ზრუნვაც შეგვიძლია, რაც მის გაუმჯობესებას, მიზნებზე ორიენტირებას გულისხმობს.

კრიტიკული აზროვნება იწყება იმ საკითხთა გამოვლენით და იმ პრობლემათა განხილვით, რომლებიც მოითხოვენ გადაჭრას. კრიტიკული აზროვნება ისწავლის დამატებითი არგუმენტაციისაკენ, კრიტიკული აზროვნება სოციალური აზროვნებაა. დღეს ინფორმაციის უსასრულო ნაკადის პირობებში მხოლოდ კრიტიკული აზროვნება შეძლებს დაგვეხმაროს არ გავხდეთ მანიპულაციების მსხვერპლი.

კრიტიკული აზროვნება ნიშნავს ცნობისმოყვარეობას, შეკითხვების ჩამოყალიბებას და მათზე პასუხის ძიებას. ის მოიცავს ფაქტების არა მხოლოდ დაფიქსირებას, არამედ მათი მიზეზებისა და შედეგების გარკვევას. კრიტიკული აზროვნება, ერთი მხრივ, თავაზიან სკეპტიციზმს, მეორე მხრივ კი, ჩამოყალიბებული პიროვნული პოზიციის არსებობას გულისხმობს; კრიტიკულ აზროვნებას მივყავართ გადანყვეტილებამდე: რა ვირწმუნოთ და რა არა (Norris 1989).

კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანი უნდა ზრუნავდეს იმაზე, რომ მისი შეხედულებები და გადანყვეტილებები იყოს დასაბუთებული. მას უნდა გააჩნდეს ინფორმირებულობის მაღალი ხარისხი და შეეძლოს განსხვავებული თვალსაზრისების განხილვა; ფლობდეს როგორც საკუთარი, ასევე, სხვისი პოზიციის ნათლად წარმოდგენის უნარს. ის კარგად უნდა იაზრებდეს საკუთარ პოზიციას და ითვალისწინებდეს სიტუაციას მთლიანობაში; პატივს უნდა სცემდეს თანამოსაუბრის აზრსა და ღირსებას. მას უნდა შეეძლოს სხვების მოსმენა და გაგება (Ennis 1991).

კრიტიკული აზროვნებისათვის ინფორმაცია ათვლის წერტილია და არა საბოლოო შედეგი; ვერა-ვინ იფიქრებს კრიტიკულად ჩვენ მაგივრად, ეს „პიროვნული“ საზრუნავია. შესაბამისად, აზროვნება კრიტიკულია მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ინდივიდუალური ხასიათისაა; კრიტიკული აზროვნების პირველი და უმთავრესი მახასიათებელი დამოუკიდებლობაა. კრიტიკულ აზროვნებას, ასევე, უწოდებენ ანალიტიკურ, დამოუკიდებელ აზროვნებას (Cluster 2001).

კრიტიკული აზროვნება, როგორც დისციპლინათშორისი და ზესაგნობრივი კატეგორია, ატარებს დედუქციურ ხასიათს: სტუდენტი იძენს კრიტიკული აზროვნების ინტელექტუალურ უნარებს კონკრეტული დისციპლინის გარეშე და შეუძლია გამოიყენოს ისინი ცოდნის განსხვავებულ სფეროებში (Ennis 1991).

კრიტიკული აზროვნება ესაა მიწოდებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის/ შეთავაზების გამოკვლევა და შეფასება, თუ რამდენად შეესაბამება იგი რეალობას. იგი მხოლოდ განათლებისა და წვრთნის საშუალებით მიიღება და ამდენად, გონებრივ ჩვევას წარმოადგენს (Paul and Elder 2006).

მხოლოდ ისეთ საგანმანათლებლო დანესებულებაზე, რომელიც მსგავსი ტიპის განათლებას აძლევს სტუდენტს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი აყალიბებს კარგ პროფესიონალებსა და მოქალაქეებს (Sumner 1940).

3. სწავლა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების გზით

რა არის პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება? ეს არის სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად პრობლემას იყენებს (Barrows 1982).

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების კურსი იწყება პრობლემით და არა საგნობრივი ცოდნის გადაცემით. სტუდენტთა ჯგუფებს წარედგინებათ კონტექსტური სიტუაციები და ეძლევათ დავალება განსაზღვრონ პრობლემა, რა ცოდნა / რესურსები ესაჭიროებათ პრობლემის კვლევისათვის და შემდგომ ამ პრობლემების გადაჭრის გზები დასახონ. ტრადიციული საგანმანათლებლო პრაქტიკა, დაწყებული საბავშვო ბაღიდან და დასრულებული საუნივერსიტეტო განათლებით, ხშირად მოსაწყენია და იმედგაცრუებას იწვევს. სტუდენტებს უხდებათ შეჭიდება ძალიან დიდი მოცულობის ინფორმაციასთან, რომელიც ხშირად არარელევანტურია მათ მომავალ საქმიანობასთან. შეძენილი ცოდნა ხშირად არაეფექტურია მათ წინაშე წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად. ტრადიციული მიდგომები არ ითვალისწინებს თანამშრომლობის ელემენტებს. შედეგად, განათლების მიღება დაიყვანება მხოლოდ დიპლომის მოპოვებამდე.

კვლევა განათლების ფსიქოლოგიაში ადასტურებს, რომ ტრადიციული მეთოდები (მაგ. ლექციები) სრულად ვერ უზრუნველყოფს წარმოდგენილი მასალის შესწავლას. მიუხედავად ორივე მხარის (სტუდენტი, ლექტორი) მცდელობისა, ამ გზით დაუფლებული ცოდნა ძალიან მალე ეძლევა დავიწყებას, 90 დღეში დავიწყებას ეძლევა მასალის 90% (Smilovitz 1996), პრობლემის გადაჭრის ბუნებრივი შესაძლებლობები სუსტდება, მოტივაცია მცირდება.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება აქტიური სწავლაა - კონტექსტთან კავშირში,

უზრუნველყოფს საკითხის ღრმად და ყოველმხრივ შესწავლას, გრძელვადიან მეხსიერებას. აყალიბებს მსჯელობის, სამეცნიერო დასაბუთების, კომუნიკაციის, კრიტიკული განსჯის, ჯგუფური მუშაობის, სხვისი აზრის გათვალისწინების, ინფორმაციის დამოუკიდებლად მოპოვების, უწყვეტი (lifelong) სწავლის უნარებს.

4. შემთხვევებით სწავლების მეთოდი (სწავლა ქეისების საშუალებით)

ქეისი წარმოადგენს პრობლემის ან სიტუაციის დოკუმენტურ აღწერილობას, რომელიც მოითხოვს ანალიზსა და გადაწყვეტილების მიღებას. **პრაქტიკული** ქეისი რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებს ასახავს, სტუდენტებს ახალ ცოდნასა და კონკრეტულ სიტუაციაში მოქმედების უნარ-ჩვევებს გამოუმუშავებს, მაქსიმალურად დეტალურად აღწერს სიტუაციას; სასწავლო ქეისების ძირითადი მიზანი სწავლებაა; **სამეცნიერო-კვლევითი** ქეისი კი კვლევაზეა ორიენტირებული.

ქეისებით სწავლების რამოდენიმე მეთოდი არსებობს: “დასრულებული” - ფაქტებზე დამყარებული ქეისი, “დაუსრულებელი” - ღია შეკითხვებზე აგებული ქეისი, გამოგონილი პრობლემის (Fictional) ქეისი და დედანი დოკუმენტი.

განასხვავებენ კვლევით, აღწერილობით და განმარტებით ქეისებს: კვლევითი (Exploratory) ორიენტირებულია წინასწარი ჰიპოთეზების წარმოჩენასა და კვლევის ფოკუსის დადგენაზე; აღწერილობითი (Descriptive) - მიზნად ისახავს სრული ინფორმაციის მოპოვებას სიტუაციასთან დაკავშირებით, რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინფორმაციის მოპოვებას სიტუაციის ყველა დეტალთან დაკავშირებით; განმარტებითი (Explanatory -or causal) - ადგენს მიზეზ-შედეგობრივ კავშირს პრობლემას, მის გამომწვევ მიზეზებსა და პრობლემის გადაჭრის გზებს შორის.

შემთხვევებით (ქეისებით) სწავლის მეთოდი სტუდენტს აიძულებს იფიქროს, იქცეს მსჯელობის, კვლევის აქტიურ მონაწილედ, ზრდის მის ინტერესსა და მოტივაციას; ქმნის ცოდნის/გამოცდილების დაგროვების აუცილებლობას; იძლევა საშუალებას იფიქროს პრაქტიკულ შემთხვევებზე; ავითარებს კრიტიკული და ანალიტიკური (გამოყენება, სინთეზი, ანალიზი) აზროვნების დონეს; ეხმარება სტუდენტს დააკავშიროს თეორია და პრაქტიკა (გამოყენება); წარმოშობს სტუდენტის მონაწილეობის საჭიროებას; აუწყობს სტუდენტის თვითგამოხატვის დონეს და გადაწყვეტილების მიღების უნარს; სტუდენტის სურვილს, გამოიყენოს მიღებული ცოდნა ცვლილებების გასათარებლად; წახალისებულია სტუდენტების ინტერესი და ცნობისმოყვარეობა; უპირატესობა ენიჭება დისკუსიას, არგუმენტირებას, შეხედულებების გაცვლას; ძლიერდება იდეების გენერირება და ექსპერიმენტირება (Corey and Raymond 1998).

5. სწავლება კითხვების დასმის გზით (მაიევტიკა)

მაიევტიკა არის სოკრატესეული ხერხი, რომელიც კითხვების განსაზღვრული თანმიმდევრობით დასმის გზით ეხმარება თანამოსაუბრეს, აღმოაჩინოს ჭეშმარიტება. აღნიშნული მეთოდი გულისხმობს დიალოგს კითხვა- პასუხის რეჟიმში, სადაც ინდივიდები მათ ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე, მიმდინარე დისკუსიის (მსჯელობის ფორმა, რომელიც სიღრმისეულობასა და გაგებაზეა დაფუძნებული) დროს, პასუხის გაცემის გზით „პოულობენ- აღმოაჩენენ“ ცოდნას კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით. მონაწილეები იზიარებენ სემინარის ხარისხზე პასუხისმგებლობას, რაც უზრუნველყოფს ჩართულობას სასწავლო პროცესში. ყველაზე კარგი დასაწყისი არის ღია შეკითხვა, რომელსაც არ აქვს სწორი ან არასწორი პასუხი.

ღია კითხვების დასმის გზით, ლექტორი ხელს უწყობს სწავლის პროცესში საინტერესო დისკუსიების გაღვივებას. სტუდენტებს ეძლევათ საშუალება მოახდინონ სხვადასხვა საკითხის შესახებ მიღებული ცოდნის და განსხვავებული ცხოვრებისეული გამოცდილების სინთეზი. შემდგომ კი, შეუძლიათ აღნიშნული მოსაზრებები შეჯამებული დასკვნის ფორმით წარმოადგინონ (Paul and Elder 2006).

სოკრატისეული სწავლება კითხვების დასმის გზით ხელს უწყობს მასალის გაგებას და ღრმად გააზრებას, ანვითარებს კრიტიკულ აზროვნებას, კომუნიკაციის უნარებს, არგუმენტირებულ მსჯელობას.

6. თანამშრომლობითი (Collaborative) და ერთობლივი (Cooperative)

სწავლა/სწავლება

თანამშრომლობითი სწავლება (კოლაბორაცია-Collaboration) წარმოადგენს სწავლა/სწავლების მეთოდს, რომლის დროსაც სტუდენტთა ან მოსწავლეთა ჯგუფის მიზანია კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ ერთობლივი კვლევა - ძიების ჩატარება. ამ დროს აქტიურად ხდება სტუდენტებს შორის ცოდნის და გამოცდილების გაზიარება.

თანამშრომლობითი სწავლებისას სტუდენტების მცირე ჯგუფები მუშაობენ სტრუქტურირებული აქტივობის ფარგლებში; ისინი პასუხისმგებლები არიან როგორც საკუთარ, ასევე, მთლიანი ჯგუფის მუშაობაზე. თანამშრომლობითი ჯგუფები მუშაობენ ერთობლივად და სწავლობენ მუშაობას, როგორც ერთი გუნდი.

თანამშრომლობითი სწავლებისას ამოცანის ამოხსნის წარმატება სხვებთან თანამშრომლობის ხარისხით განისაზღვრება, როდესაც ერთის გამარჯვება ყველას გამარჯვებაა -“შენი გამარჯვებით მე არ დავმარცხდები, ჩემი დამარცხებით შენ ვერ გაიმარჯვებ” (Nishnianidze 2020).

ერთობლივი სწავლება (Cooperative) გულისხმობს მეთოდების ერთობლიობას, შეთანხმებულ, სტრუქტურირებულ ქმედებას პრობლემის ან საკითხის გადასაჭრელად. ერთობლივი სწავლებისას ხდება დავალების დანაწილება ჯგუფის წევრებს შორის. იგი უფრო ინდივიდუალურ სწავლებაზეა ორიენტირებული, რაც საბოლოოდ შეჯერდება ჯგუფთან.

თანამშრომლობითი სწავლება - ესაა შეთანხმებული ქმედება საერთო მიზნის მისაღწევად. იგი კოოპერატივისგან განსხვავებით უფრო მეტ გუნდურ მუშაობას გულისხმობს. თანამშრომლობით სწავლებისას მთელი გუნდი იღებს მონაწილეობას დავალების შესრულების პროცესში დასაწყისიდან დასასრულამდე. თუმცა, ორივე შემთხვევაში, საჭიროა კარგი კოორდინაცია სასწავლო ჯგუფში წარმატების მისაღწევად.

სწავლების ამ ტიპის დროს ერთდროულად მიიღწევა ორი მნიშვნელოვანი შედეგი: ერთობლივი და თანამშრომლობითი მუშაობისთვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება (ინტერპერსონალური და ინტერკულტურული უნარები).

თანამშრომლობითი და ერთობლივი სწავლება ხელს უწყობს პიროვნებათა შორის ურთიერთობას, ასევე, განავითარებს სოციალურ უნარებს და ზრდის თვითშეფასებას,

კრეატიულობას, მოტივაციას, პროდუქტიულობას, ანალიტიკურ აზროვნებას, სოციალური კომპეტენციებს. მცირე ჯგუფებში ინტერაქციის დროს სტუდენტები იწყებენ შეთანხმებულ მოქმედებას პრინციპით “ერთი ყველასათვის და ყველა ერთისთვის” (დადებითი ურთიერთდამოკიდებულება). სტუდენტები სწავლობენ კონფლიქტური სიტუაციების გამოსწორებისა და სამომავლოდ მათი თავიდან აცილების გზებს.

7. პროექტებით სწავლა/სწავლება

პროექტებით სწავლების მეთოდის ძირითადი დანიშნულებაა, შესაძლებლობა მისცეს სტუდენტებს, დამოუკიდებლად მიიღონ ცოდნა პრაქტიკული ამოცანებისა და იმ პრობლემების გადაწყვეტისას, რომლებიც სხვადასხვა სფეროს საგნების ცოდნის ინტეგრაციას საჭიროებენ.

პროექტის მეთოდის თანამედროვე გაგების მთავარი თეზისია - ყველაფერი, რაც მე ვიცი - ვიცი რატომ მჭირდება, ასევე, ვიცი სად და როგორ შემიძლია გამოვიყენო ეს ცოდნა (Duch, Groh and Allen 2001). პროექტის განხორციელება სტუდენტს უვითარებს მიღებული ცოდნის და გამოცდილების რეალურ ცხოვრებაში გამოყენების უნარ-ჩვევებს.

8. სწავლება საქმიანი თამაშების საშუალებით

თამაში გამოცდილების შექმნის ერთ-ერთი საუკეთესო ფორმაა. დადებითი ემოცია, უსაფრთხო სიტუაცია და თავისუფალი მოქმედება ხელს უწყობს დიდი ინფორმაციის შემოქმედებითად გადამუშავებას. დადებითი ემოციის დროს ყურადღების მოცულობა იზრდება, იზრდება მეხსიერების ეფექტურობა, თავისუფალი და პროდუქტიული ხდება მეხსიერება და აზროვნება (Skinner 1971).

ის, რაზედაც ფიქრი გვიწევს, რაზედაც ვღებულობთ გადაწყვეტილებებს, რაშიც ჩართულია ინტელექტუალური აქტივობა, უკეთესად გვამახსოვრდება - რაც ნიშნავს იმას, რომ თუ გაიზრდება სასწავლო პროცესში დამოუკიდებელი აზროვნების ხვედრითი წილი, შესაძლებელია, უფრო მოკლე დროში მასალის უკეთესად შესწავლა (Skinner 1971).

სწავლების ეს მეთოდი საშუალებას აძლევს სტუდენტებს, გამოიყენონ მიღებული ცოდნა რეალურ პირობებთან მიახლოებულ პირობებში, ხელს უწყობს მომავალი სპეციალისტის შემოქმედებითად აქტიურ, პროფესიულად და სოციალურად კომპეტენტურ პიროვნებად ჩამოყალიბებას.

თამაში ადამიანის საქმიანობის უძველესი ფორმაა, თანაც ისეთი, სადაც მას შეუძლია თავი გამოიჩინოს სხვადასხვა პოზიციაში: გახდეს „აქტიური პირი“, „წამყვანი“, „ორგანიზატორი“, „ინიციატორი“ და ა.შ. აქედან გამომდინარე, თამაში კარგი მოტივატორია პიროვნების დასაინტერესებლად, ცოდნის ასამაღლებლად, უნარ-ჩვევების დასახვეწად.

დღესდღეობით არსებობს რამდენიმე ათასი სხვადასხვა სახის სასწავლო თამაში, გამოიცემა საქმიანი თამაშების დამხმარე სახელმძღვანელოები, კატალოგები და ცნობარები, ტარდება რეგულარული მეცადინეობები და სემინარები, შექმნილია იმიტაციური მოდელირების და თამაშების საერთაშორისო ასოციაცია. სტუდენტები ვერც კი ამჩნევენ, როგორ ერთვებიან სასწავლო პროცესში. თამაში აწვითარებს სააზროვნო პროცესებს, მეხსიერებას, წარმოსახვას, პროფესიულ ინტერესებს, აფართოებს თვალსაწიერს; ასწავლის სტუდენტებს შრომას, გამომგონებლობას, ანალიტიკურ აზროვნებას, სწავლის მოდელირების ძირითად მეთოდებს, საქმისადმი პასუხისმგებლობას; ხელს უწყობს შემეცნებას, სისტემური აზროვნების პროვოცირებას, საგნობრივი დისციპლინების შესწავლას. სტუდენტები ეჩვევიან სოციალიზაციას, გუნდურობას, მიზანსწრაფულობას.

იმიტაციური თამაშები - ეს არის სხვადასხვა მიზნობრივი მიმართულების თამაშები,

რომელთა განხორციელების (ფორმა) გზა არის მოდელირების მეთოდი. ეს მეთოდი ახდენს გარკვეული გონებრივი აქტივობის რეპროდუცირებას მისი კვლევის ან გაუმჯობესების მიზნით, ცხოვრებისეული სიტუაციების სიმულაციის გზით. მოდელირება არის სწავლის ის სახეობა, რომელიც ემყარება მოდელის მიერ შესრულებული ქცევის იმიტაციას. მოდელირება აუცილებელია რეალური სიტუაციების სირთულეების დასაძლევად.

საქმიანი თამაშები შეიძლება ცხოვრებისეულ სიტუაციაზე აიგოს. როლური თამაში საშუალებას აძლევს სტუდენტებს, "სცადონ" ახალი ქცევა უსაფრთხო გარემოში. როლური თამაშები გამოიყენება რეალურ ცხოვრებაში წარმოშობილი პრობლემებისა და სიტუაციების გამოსაკვლევად.

საორგანიზაციო საქმიანობითი თამაშებს შეიძლება მივაკუთნოთ, პრობლემაზე ორიენტირებული როლური, საქმიანი თამაშები, სააპრობაციო-სამძებრო, ინოვაციური თამაშები. გამოიყენება რთული სოციალურ-საწარმოო ამოცანების გადასაჭრელად, როცა საჭიროა განსხვავებული მიმართულებების სპეციალისტების ძალისხმევის გაერთიანება, კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლის სტრატეგია.

9. შებრუნებული სწავლის მეთოდი (Flipped Classroom) გულისხმობს სტუდენტების მიერ სალექციო მასალების დამუშავებას აუდიტორიის გარეთ. სააუდიტორიო მეცადინეობებზე კი იმართება დისკუ-

სიები აზროვნების ზედა დონეზე, დებატები, ჯგუფური მუშაობები და თეორიული ცოდნის (შესწავლილი მასალის) პრაქტიკაში გამოყენება. ასეთი მეცადინეობების დროს სტუდენტები არ არიან პასიური მსმენელები, მასწავლებლებს კი ეძლევათ საშუალება იყვნენ უფრო მოქნილნი, მეტი დრო დაუთმონ სწავლების ინდივიდუალიზაციას.

10. ჯიქსოუ აქტიური სწავლის მეთოდია, რომელიც შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს ასწავლონ თავის თანატოლებს, ამ მიდგომას უფრო გასაგებს ხდის სენეკას სიტყვები - “როცა ჩვენ ვასწავლით ჩვენ ვსწავლობთ”. სწავლება ან სხვებისათვის განმარტებების მიცემა საუკეთესო საშუალებაა ინფორმაციის გააზრებისათვის. ამ მეთოდების გამოყენებისას სტუდენტებს ვყოფთ ჯგუფებად და ვაწვდით ინფორმაციის სხვადასხვა ნაწილებს და ვთხოვთ შეისწავლონ ისეთ დონეზე, რომ შეძლონ სხვას აუხსნან. ეს პროცესი სრულდება მაშინ, როდესაც ყველა მონაწილე წარმოადგენს (გააზიარებს) თავის ნაწილს და შეიკრება წარმოდგენილი თემა, შეიქმნება სრული სურათი.

შეჯამება

“სწავლებიდან სწავლის” მოდელში გადასვლის პროცესი თანამედროვე განათლების სისტემის მნიშვნელოვანი გამოწვევაა. აღნიშნულ სტატიაში ნათლად ჩანს XXI საუკუნის უნარების ჩამოსაყალიბებლად თანამედროვე სწავლების მეთოდებისა და სტრატეგიების გაცნობიერებისა და გამოყენების აუცილებლობა. შევეცადეთ გვეჩვენებინა ამ მოდელის უპირატესობა ტრადიციულ მეთოდებთან შედარებით. ახალი მიდგომებისა და მეთოდების დანერგვა მაქსიმალურად უზრუნველყოფს სასურველი შედეგის მიღებას.

სტატიაში მოყვანილი ანალიზი კონკრეტულ სამეცნიერო ნაშრომებთან ერთად ეყრდნობა საკუთარ პრაქტიკულ, 30 წლიანი სწავლების გამოცდილებას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მათ შორის, ამავე უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის 2014 წლიდან ამოქმედებულ ევროპისმცოდნეობის ინგლისურენოვან სადოქტორო პროგრამაზე.

სასწავლო პროცესის მატერიალური განათლების პრინციპებზე დაფუძნებისაგან განსხვავებით, აქცენტი კეთდება ფორმალურ აზროვნებაზე, რაც უზრუნველყოფს სწავლას უკეთესად გაგებისთვის, ცნებების, პრინციპების ან უნარ-ჩვევების დაუფლებას, მათი სხვადასხვა სიტუაციაში გამოყენების უნარს. შედეგი-საფუძვლიანი ცოდნა კონტექსტით შემოფარგლული მოკლევადიანი ინფორმაციის საპირისპიროდ. სწავლის სტრატეგია უნდა იყოს ყურადღების გამახვილება არა სასწავლო საგნის შინაარსზე, არამედ სტუდენტის მიერ შესწავლილი მასალის ღრმა გააზრებაზე, მის კავშირზე სტუდენტის გამოცდილებასთან და სხვა სასწავლო საგნებში მიღებულ ცოდნასთან. ასეთ შემთხვევაში, პროფესორის მთავარი ამოცანაა შემსწავლელის აზროვნების და მსჯელობის უნარების განვითარება, მიღებული ცოდნის მოქნილი და აქტიური გამოყენება.

ცოდნა და უნარები თავისთავად არ განაპირობებს გაგებას. ადამიანმა შეიძლება დააგროვოს ცოდნა, განავითაროს უნარები მიღებული ინფორმაციის ღრმა გააზრების გარეშე; გაგება მხოლოდ “შინაარსის გაგებას” არ გულისხმობს: გაგებაში „**მოქმედების პერსპექტივაც**“ იგულისხმება. ახალი წარმოდგენები/მოდელები ძველი მოდელების ტრანსფორმირების გზით ჩნდება. ამდენად, მნიშვნელოვანია მოახერხებს თუ არა ადამიანი მისთვის ახალ სიტუაციაში კონკრეტული ცოდნის გახსენებასა და გამოყენებას (Perkins 2014).

ასეთი პროცესის მთავარი გზავნილია, რომ სწავლა მიმართულია გაგებისაკენ და დამოკიდებულია აზროვნებაზე (Perkins 2014). საყურადღებოა აზროვნების, სწავლის, გაგების ურთიერთკავშირის გაცნობიერება.

წინამდებარე სტატიაში გაანალიზებულია სწავლა-სწავლების მეთოდები, რომელიც ხელს უწყობს “სწავლებიდან სწავლის” პარადიგმაზე გადასვლის, შესაბამისად, ფორმალური აზროვნების ჩამოყალიბებას, XXI საუკუნის უნარების განავითარებას.

კეთებით სწავლების ცენტრალური იდეაა, რომ ადამიანებს შეუძლიათ სწავლა სათანადო სასწავლო პროცესში მონაწილეობის გზით, ანუ შესასწავლი მასალის დაუფლება შესაძლებელია კეთების პროცესში.

კრიტიკული აზროვნება, ერთი მხრივ, თავაზიან სკეპტიციზმს, მეორე მხრივ კი, ჩამოყალიბებული

პიროვნული პოზიციის არსებობას გულისხმობს. კრიტიკულ აზროვნებას მივყავართ გადანყვეტილებამდე: რა ვიწმუნოთ და რა არა (Norris 1989).

კრიტიკული აზროვნება, როგორც დისციპლინათშორისი და ზესაგნობრივი კატეგორია, ატარებს დედუქციურ ხასიათს: სტუდენტი იძენს კრიტიკული აზროვნების ინტელექტუალურ უნარებს კონკრეტული დისციპლინის გარეშე და შეუძლია გამოიყენოს ისინი ცოდნის განსხვავებულ სფეროებში. (Ennis 1991)

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება აქტიური სწავლაა- კონტექსტთან კავშირში,

უზრუნველყოფს საკითხის ღრმად და ყოველმხრივ შესწავლას, გრძელვადიან მესხიერებას. აყალიბებს მსჯელობის, სამეცნიერო დასაბუთების, კომუნიკაციის, კრიტიკული განსჯის, ჯგუფური მუშაობის, სხვისი აზრის გათვალისწინების, ინფორმაციის დამოუკიდებლად მოპოვების, უწყვეტი (lifelong) სწავლის უნარებს.

შემთხვევებით სწავლების მეთოდი (ქეისებით სწავლება) წარმოადგენს პრობლემის ან სიტუაციის დოკუმენტურ აღწერილობას, რომელიც მოითხოვს ანალიზსა და გადანყვეტილების მიღებას.

სოკრატისეული **სწავლება კითხვების დასმის** გზით ეხმარება სტუდენტებს მასალის გაგებაში და ღრმად გააზრებაში, ანვითარებს კრიტიკულ აზროვნებას, კომუნიკაციის უნარებს, არგუმენტირებულ მსჯელობას. ამგვარი მიდგომა სტუდენტებს აძლევს საშუალებას არა მარტო დააკავშირონ თანვინითი შეხედულებები ამა თუ იმ კონტექსტთან, არამედ ასევე მკაფიო ფორმით გამოხატონ საკუთარი მოსაზრებებიც.

თანამშრომლობითი სწავლებისას ამოცანის ამოხსნის წარმატება სხვებთან თანამშრომლობას გულისხმობს. ერთის გამარჯვება ყველას გამარჯვებაა.

პროექტის მეთოდის თანამედროვე გაგების მთავარი თეზისია ყველაფერი, რაც მე ვიცი - ვიცი რატომ მჭირდება, ასევე, ვიცი სად და როგორ შემიძლია გამოვიყენო ეს ცოდნა (Duch, Groh and Allen 2001).

თამაში გამოცდილების შექმნის ერთ-ერთი საუკეთესო ფორმაა. დადებითი ემოცია, უსაფრთხო სიტუაცია და თავისუფალი მოქმედება ხელს უწყობს დიდი ინფორმაციის შემოქმედებითად გადამუშავებას.

შებრუნებული სწავლის მეთოდი (Flipped Classroom) გულისხმობს დისკუსიებს აზროვნების ზედა დონეზე, დებატებს, ჯგუფურ მუშაობებს, თეორიული ცოდნის (შესწავლილი მასალის) პრაქტიკაში გამოყენებას, ხოლო საწყისი შესასწავლი მასალის დამუშავებას აუდიტორიის გარეთ.

ჯიგსოუს გამოყენებისას, ვანვდით ინფორმაციის სხვადასხვა ნაწილებს და ვთხოვთ, შეისწავლონ ისეთ დონეზე, რომ შეძლონ სხვას აუხსნან. ეს პროცესი სრულდება მაშინ, როდესაც ყველა მონაწილე წარმოადგენს (გააზიარებს) თავის ნაწილს და შეიკრება წარმოდგენილი თემა, შეიქმნება სრული სურათი.

სწავლების მიზანი სწავლის ხელშეწყობაა, ინოვაციური მეთოდების გამოყენება, ინოვაციებისკენ სწრაფვა სწავლის შდეგების გაუმჯობესებას ემსახურება. ზემოთ განხილული მეთოდები და სტრატეგიების გამოყენება სწავლის პროცესის ეფექტურად წარმართვაში დაგვეხმარება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Barrows, H.S. and Bennett, K. (1982) Experimental Studies on the Diagnostic (Problem-Solving) Skill
2. Bishop, J.L. and Verlager, M.A. (2013) The Flipped Classroom: A Survey of the Research. 120th ASEE Annual Conference & Exposition. Available at <http://www.studiesuccessho.nl/wpcontent/>
3. Corey, Raymond (1998) Case Method Teaching, Harvard Business School 9-581-058, Rev. November 6
4. Duch, Groh & Allen, (2001) PBL
5. Ennis, R. H. (1991) Critical Thinking: A Streamlined Conception. Teaching Philosophy 14 (1): 5-25
6. Klooster David J., Steele Jeannie L. (2000) Ideas Without Boundaries: International Education Reform Through Reading and Writing for Critical Thinking
7. Nell K. Duke, Halvorsen Anne-Lise, Strachan Stephanie L., Kim Jihyun (2019) The Impact of Project-Based Learning, Social Studies and Literacy Learning and Motivation

8. Nishnianidze, Gizo (2020) available at <https://artinfo.ge/2020/02/gizo-nishnianidze-gathithokatseba-gvaokhertialebs/>

Norris, Stephen P., Robert H. Ennis, (1989) Evaluating Critical Thinking

Paul, R. and Elder, L. (2006). The Art of Socratic Questioning. Dillon Beach, CA: Foundation for Critical Thinking

Perkins David (2014) Future Wise: Educating Our Children for a Changing World

Skinner, B.F. (1971) Beyond Freedom and Dignity. New York: Knopf.(109-120)

Smilovitz, R. (1996) If not now when?: Education not schooling. Kearney, NE: Morris Publishing.

Sumner, W. G. (1940) Sumner's Definition of Critical Thinking, *Folkways: A Study of the Sociological Importance of Usages, Manners, Customs, Mores, and Morals*, New York: Ginn and Co., pp. 632, 633

Williams K. Morgan, John Dewey in the 21st Century, *Journal of Inquiry & Action in Education*, 9(1), 2017 available at <https://files.eric.ed.gov/fulltext/EJ1158258.pdf> (91-96)